ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №8

ქ. ახმეტა 26 აგვისტო, 2020 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: რ.ბაღაკაშვილი, ბ.ჭიჭიკლიშვილი, ლ.ითიურიძე ა.შათირიშვილი, ა.ბუღრიძე,ა.მექვევრიშვილი შ.ტერტერაშვილი, გ.ხადიშვილი ნ.ალავიძე, თ.ბოდაველი,

სხდომა გაიხსნა 11^{00} საათზე.

სხდომის თავმჯდომარე თ.ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/ მომხსენებელი - დავით აბულაძე/

2. **2020 წლის საქართველოს პარლამენტის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისათვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ;**

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

3. 2020 წლის საქართველოს პარლამენტის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის სკვერში მდებარე 20კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი-თინათინ კუდიანაშვილი/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ახმეტაში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე 314კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას (საპარკინგე ადგილის მოსაწყობად) საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი-თინათინ კუდიანაშვილი/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ზემო ხოდაშენში მდებარე 425კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი-თინათინ კუდიანაშვილი/

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ყვარელწყალში მდებარე 1066კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი-თინათინ კუდიანაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს

10 - მომხრე;

1 - მონაწილეობა არ მიიღო;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს: ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი არის მერიის დებულებაში ცვლილების შეტანის გზით სხვადასხვა ცნობების გაცემის უფლებამოსილების მერის წარმომადგენლებისთვის მინიჭება. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე იგი გასცემს შემდეგი სახის ცნობებს:

დ.ა) „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის N46 დადგენილების მე-8 მუხლის შესაბამისად, ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის შესახებ;

დ.ბ) საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ;

დ.გ) პირის/პირების კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივად ცხოვრების (გარდა მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით) შესახებ;

დ.დ) „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N71 ბრძანების 85-ე მუხლის შესაბამისად, მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ.“

მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

მერის წარმომადგენელს აქვს ბეჭედი (ადმინისტრაციული ერთეულის დასახელებით) და ბლანკი, რომელიც ინახება მერის წარმომადგენელთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - მონაწილეობა არ მიიღო;

<u>მოისმინეს:</u> 2020 წლის საქართველოს პარლამენტის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისათვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი დამსწრე წევრებს: 2020 წლის საქართველოს პარლამენტის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისათვის უსასყიდლოდ ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ.

ჩასწორდა განკარგულების პროექტი: „ე" პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად,-სოფელ საკობიანოში-ყოფილი ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო. შენობა-ნაგებობების ნუსხას დაემატა: სოფელ ქისტაურში - სკვერი; სოფელ ოჟიოში- სკვერი; სოფელ მატანში- სკვერი; შახვეტილაში - ამბულატორიის და მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> 2020 წლის საქართველოს პარლამენტის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი ბიუროს წევრებს: 2020 წლის საქართველოს პარლამენტის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით, ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გამოსაკრავად ადგილების განსაზღვრის შესახებ.

ა) ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე კულტურის სახლების კაპიტალური მესერი;

ბ) სახელმწიფო და ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების კაპიტალური მესერი;

გ) სახელმწიფო და ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობების კაპიტალური მესერი (გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა), აგრეთვე მათ მიერ შექმნილი (დაფუძნებული) იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობების კაპიტალური მესერი;

დ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძები - სამი მეტრის სიმაღლემდე, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ-მოწყობილობებთან არაუმეტეს ერთი მეტრი სიახლოვისა.

აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების, ახმეტის მაგისტრატი სასამართლოს, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;
1 - მონაწილეობა არ მიიღო;

<u>მოისმინეს</u>: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის სკვერში მდებარე 20კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: ქ. ახმეტაში, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის სკვერში მდებარე 20კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის შესახებ. საკადასტრო კოდი: 50.04.42.356 სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 120%-ის 552.0ლარის (ხუთასორმოცდათორმეტი) ოდენობით. სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

9 - მომხრე;
2 - მონაწილეობა არ მიიღო;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ახმეტაში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე 314კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას (საპარკინგე ადგილის მოსაწყობად) საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს: დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ახმეტაში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე 314კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას (საპარკინგე ადგილის მოსაწყობად) საკადასტრო კოდი 50. 04.43.388:

სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასურია - 565 (ხუთას სამოცდახუთი) ლარი. სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5 (ხუთი) წელი.

ლ.ითიურიძემ დატოვა სხდომა.

შ.ტერტერაშვილმა შემოიტანა წინადადება, ზუსტად მოხდეს გარკვევა ეს სავაჭრო ადგილია, თუ საპარკინგე.

ბიურომ იმსჯელა და მომხსენებელს დაევალა ზედამხედველობის სამსახურთან ერთად მოხდეს საკითხის შესწავლა და შესაბამისად წლიური ქირის საფასურის განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

9 - მომხრე;

1- მონაწილეობა არ მიიღო;

ლ.ითიურიძე დაბრუნდა სხდომის დარბაზში.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ზემო ხოდაშენში მდებარე 425კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს: დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფ. ზემო ხოდაშენში მდებარე 425კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, (საკადასტრო კოდი 50.02.35.414).

სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%-ით-**80.0** (ოთხმოცი) ლარის ოდენობით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - მონაწილეობა არ მიიღო;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ყვარელწყალში მდებარე 1066კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფ. ყვარელწყალში მდებარე 1066კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, (საკადასტრო კოდი 50.05.36.253) სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%-ით-181.0 (ას ოთხმოცდაერთი) ლარის ოდენობით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

9- მომხრე;

1-მონაწილეობა არ მიიღო;

1 - წინააღმდეგი;

სხვა კითხვები და წინადადებები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12[35] საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თამარ ყეინიშვილი**